# საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/119 " 11 " აგვისტო 2020 წ.

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

**სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის სარემონტო სამუშაოების განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულმა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა 2020 წლის 5 აგვისტოს №06-5391 წერილით მომართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და მოითხოვა თანხმობის მიცემა თბილისის სააპელაციო სასამართლოს, თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოების, ახალციხის, ბოლნისის, გორის, გურჯაანის, ზუგდიდის, თელავის, მცხეთისა და სიღნაღის რაიონული სასამართლოების, ასევე ადიგენის, ასპინძის, ახმეტის, დედოფლისწყაროს, თიანეთის, კასპის, ლანჩხუთისა და ხობის მაგისტრატი სასამართლოების სარემონტო სამუშაოების განხორციელებაზე. როგორც საერთო სასამართლოების დეპარტამენტის წერილშია აღნიშნული, სარემონტო სამუშაოები ითვალისწინებს სასამართლოებში მედიაციის სივრცეების მოწყობას, შენობების სახანძრო უსაფრთხოების ხარისხის გაზრდას, საარქივე სივრცეების გადაგეგმარებას, სველი წერტილების მოწყობას, გარკვეული ფართების გადატიხვრას, სასამართლო დარბაზების რეაბილიტაციას, სასამართლო შენობების აღდგენა-გამაგრებას, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებას. საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ინფორმაციით, აღნიშნული სარემონტო სამუშაოების საორიენტაციო ღირებულებაა 348 993 ლარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 აგვისტოს №239 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სარგებლობაში გადაცემული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის, რემონტის, დემონტაჟის ან ლიკვიდაციის შედეგად მიღებული ან დემონტაჟის შედეგად მისაღები ვარგისი ნაწილებისა და მასალების ამ ორგანოს ან დადგენილი წესით ერთობლივი ტენდერის გამოცხადება პირველ ეტაპზე საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ აღნიშნული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის, რემონტის, დემონტაჟის ან ლიკვიდაციის ხარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვის მიზნით გასხვისების ან სხვა ნებისმიერი სახით განკარგვის წესის“ მე-3 მუხლის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განახორციელოს ზემოაღნიშნული სასამართლოების სარემონტო სამუშაოები.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი